ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4054973

ნომერი: AR1613669

თარიღი : 04.07.2018

გაცემის თარიღი : 06.07.2018

გაცნობის თარიღი : 06.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბიძინა კვერნაძე , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კვინიკაძე პ/ნ 18001006714
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი-3-ის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 8, ბინა 50

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 4 ივლისს AR1613669 განცხადებით მომართა ლევან კვინიკაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთზე გაცემული შენობა-ნაგებობის ფუნქციის ცვლილებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში,

ბიძინა კვერნაძის ქ. N 10-ში საკადასტრო კოდით #01.10.13.033.100 რეგისტრირებულ (7604 კვ.მ) მიწის ნაკვეთზე, არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენება) და ახალი შენობანაგებობა (საოფისე, სასტუმრო, საზკვების ობიექტი) მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
2014 წლის 29 აგვისტოს №1453871 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, ბიძინა კვერნაძის ქუჩა, №10-ში, შპს "ტიფლის ბიზნეს ცენტრი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.13.033.100), არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენება) და ახალი შენობა-ნაგებობის (საოფისე, სასტუმრო, საზკვების ობიექტი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართა. ასევე, 2014 წლის 9 ოქტომბრის №1533979 ბრძნებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ბიძინა კვერნაძის ქუჩა #10–ში, შპს ,,ტიფლის ბიზნეს ცენტრი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე საოფისე (ავტოსადგომებით) შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2016 წლის 4 მაისის №2577733 ბრძანებით შევიდა ცვლილება ზემოთაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის ფუნქციიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენება) და დაფიქსირდა მხოლოდ ახალი შენობა-ნაგებობა (საოფისე, სასტუმრო, საკვები ობიექტი). ხოლო, 2016 წლის 5 ივლისის №2651651 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ბიძინა კვერნაძე , N 10-ში, შპს "ტიფლის ბიზნეს ცენტრი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.13.033.100), საზოგადოებრივი შენობის (საოფისე, სასტუმრო, საზკვების ობიექტი) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. რის შემდგომაც, 2016 წლის 4 ნოემბრის №2930159 ბრძანებით შეთანხმდა საზოგადოებრივი შენობის (საოფისე, სასტუმრო, საზკვების ობიექტი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 1 მაისის #238 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი.
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების კოორდინატთა სისტემაში კრექტირების გამო საკადასტრო კოდის და ფართობის უცვლელად, 2017 წლის 13 აპრილის №3204977 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საკადასტრო კოდად დაფიქსირდა N 01.10.13.033.100 (რეგისტრაციის ნომერი N882017240297 (07/04/2017)), მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდა 7604.00 მ2. 2017 წლის 20 დეკემბრის №3746314 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (საოფისე, სასტუმრო) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. რის შემდგომაც 2018 წლის 1 მარტის №3841970 ბრძანებით კვლავ შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (საოფისე, სასტუმრო) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული 2017 წლის 20 დეკემბრის №3746314 და 2018 წლის 1 მარტის №3841970 ბრძანებები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის 2018 წლის 28 ივნისის #271 ბრძნებით ბათილად იქნა ცნობილი.
დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და საპროექტო ობიექტის ფუნქციად მრავალფუნქციური დანიშნულების შენობის ნაცვლად საოფისე შენობა-ნაგებობის დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდეს: საოფისე შენობა-ნაგებობა.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 12 აგვისტოს №1413519 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 2016 წლის 4 მაისის №2577733, 2017 წლის 13 აპრილის №3204977 ბრძანებებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას

ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.